

ევროპის აღქმა: მიგრანტების წარმოდგენები და მოლოდინები

19 და 20 იანვარს ბოლონიაში, იტალიაში, გაიმართა პროექტის „[PERCEPTIONS – ევროპაში მიმდინარე მოვლენების გავლენა მიგრაციაზე და პრაქტიკის, ინსტრუმენტებისა და სახელმძღვანელოების გაზიარება მოქმედი სპეციალისტებისთვის](#)“ დასკვნითი შეკრება.

პროექტის მიზანი იყო შეესწავლა, თუ როგორ აღიქვამენ ევროპასა და ევროკავშირს ადამიანები, რომლებიც იმყოფებიან ევროპაში ან აპირებენ წასვლას. ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, თუ რა წარმოდგენები არსებობს მიგრანტებს, ლტოლვილებსა და თავშესაფრის მაძიებლებს შორის ევროპის შესახებ, როგორ ყალიბდებიან ისინი, რამდენად შეესაბამება რეალობას და რამდენად ახდენენ გავლენას მიგრაციაზე. პროექტის ფარგლებში შეიქმნა კრეატიული და ინოვაციური მექანიზმი დამახინჯებული ინფორმაციის თავიდან ასაცილებლად, სოციალური და სტრუქტურული ასპექტების გათვალისწინებით.

პროექტის მიზანს წარმოადგენდა გამოეკვლია ევროპის განსხვავებული აღქმა, ისევე როგორც პრობლემები, რომლებიც წარმოიქმნება მაშინ, როდესაც მოლოდინი და რეალობა ერთმანეთს არ ემთხვევა.

პროექტის დასკვნითმა ღონისძიებამ უმასპინძლა ფართო საზოგადოებას და შეკრიბა პოლიტიკოსები, აკადემიკოსები, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, მიგრანტები, თავშესაფრის მაძიებლები, საერთაშორისო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რათა განეხილათ პროექტის შედეგები, მომავალი კვლევისა და პრაქტიკის შესაძლებლობები.

კონფერენციის პირველ დღეს მონაწილეებს საშუალება მიეცათ გაეზიარებინათ ერთმანეთისთვის თავიანთი ხედვები, პროექტის განმავლობაში შემუშავებული მასალები და რესურსები. მრგვალი მაგიდის ფორმატის შემდეგ, ფართო საზოგადოებას საშუალება ჰქონდა დასწრებოდა R.E.D ხალიჩების გამოფენას, რომელიც მოიცავდა ნახატების დემონსტრაციას და პოეზიის საღამოს, რომლითაც დაასრულდა დღე.

კონფერენციის ბოლო დღე ფოკუსირებული იყო პროექტის მომავალზე. ხაზგასმით აღინიშნა, თუ როგორ ხსნის პროექტის შედეგები გზას ახალი პრაქტიკისა და კვლევის შესაძლებლობებისთვის.

ღონისძიება დასრულდა ბოლონიის უნივერსიტეტის გუნდის წევრების მისალმებით და

[ფილმის "Dystopia"](#) ჩვენებით. ასევე, მონაწილეებს მიეცათ შესაძლებლობა მიეღოს მონაწილეობა 'Bologna Migrantour' რომელიც გაიმართა დღის მეორე ნახევარში, კონფერენციის დასრულების შემდეგ.